ტენდერზე მოწვევის წერილი

ქ. ახალციხეში 1-ლი საბავშვო ბაგა-ბაღის, მე-3 საბავშვო ბაგა-ბაღის, მე-5 საბავშვო ბაგა-ბაღის, მე-6 საბავშვო ბაგა-ბაღისა და მე-7 საჯარო სკოლის შენობებში ენერგო ეფექტურობის კომპონენტის გაძლიერებისათვის დიზაინი და მშენებლობა

ტენდერის #: NEFCO/DB-G-2-2019

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, შემდგომში „დამკვეთი“ გეგმავს ჩრდილოატლანტიკური ქვეყნების გარემოსდაცვითი ფინანსური კორპორაციის (NEFCO) მიერ გამოყოფილი გრანტის ნაწილის მიმართვას *საქართველოში საჯარო შენობების ენერგო-ეფექტურობის გაუმჯობესებისა და განახლებადი და ალტერნატიული ენერგიის გამოყენების მიზნით.*

ვებ-გვერდებზე www.mdf.org.ge, www.procurement.gov.ge; www.nefco.org და გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“ შესყიდვის ზოგადი შეტყობინების გამოქვეყნების შემდგომ დამკვეთი იწვევს ტენდერზე გრანტის თანხის ნაწილიდან დაფინანსებული შემდეგი კონტრაქტების შესასრულებლად:

- *ქ. ახალციხის #1 საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის გარსის/შემომზღუდავი კონსტრუქციების თერმული მახასიათებლების გაუმჯობესებისა და გათბობის სისტემის მოდერნიზაციის მიზნით დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება და სამუშაოების განხორციელება;*
- *ქ. ახალციხის #3 საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის გარსის/შემომზღუდავი კონსტრუქციების თერმული მახასიათებლების გაუმჯობესებისა და გათბობის სისტემის მოდერნიზაციის მიზნით დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება და სამუშაოების განხორციელება;*
- *ქ. ახალციხის #5 საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის გარსის/შემომზღუდავი კონსტრუქციების თერმული მახასიათებლების გაუმჯობესებისა და გათბობის სისტემის მოდერნიზაციის მიზნით დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება და სამუშაოების განხორციელება;*
- *ქ. ახალციხის #6 საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის გარსის/შემომზღუდავი კონსტრუქციების თერმული მახასიათებლების გაუმჯობესებისა და გათბობის სისტემის მოდერნიზაციის მიზნით დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება და სამუშაოების განხორციელება;*
- *ქ. ახალციხის მე-7 საჯარო სკოლის შენობის გარსის/შემომზღუდავი კონსტრუქციების თერმული მახასიათებლების გაუმჯობესებისა და გათბობის სისტემის მოდერნიზაციის მიზნით დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება და სამუშაოების განხორციელება.*

ყველა უფლებამოსილი კომპანია მოწვეულია აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად. შერჩევის პროცესი მოიცავს საკვალიფიკაციო ეტაპს, რომელიც ითვალისწინებს წარსული გამოცდილების განხილვას და გადამოწმებას კონტრაქტის მინიჭებამდე.

ტენდერის მონაწილეები უნდა აკმაყოფილებდნენ და დოკუმენტურად ადასტურებდნენ შემდეგ მინიმალურ კრიტერიუმებს:

- ტენდერის მონაწილეს უნდა გააჩნდეს დამაკმაყოფილებელი ფინანსური, ტექნიკური და წარმოების შესაძლებლობა და უნარი კონტრაქტის წარმატებით შესასრულებლად, ხოლო მისი საშუალო წლიური ბრუნვა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში უნდა იყოს სულ მცირე **1,980,000 ლარის** ოდენობით; წარმოდგენილი ბრუნვები დადასტურებული უნდა იყოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის აუდიტორების/აუდიტორული ფირმების რეესტრში რეგისტრირებული აუდიტორის მიერ. ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში, აღნიშნულ ფინანსურ მოთხოვნას 100%-ით უნდა აკმაყოფილებდეს ერთობლივი საწარმოს სულ მცირე ერთი წევრი.
- ტენდერის მონაწილეს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში წარმატებით უნდა ჰქონდეს შესრულებული მსგავსი სახის სამუშაოების და დანადგარების მიწოდების კონტრაქტები (ორი კომპონენტი), რაც ქვემოთ არის მითითებული, რომლებიც დამაკმაყოფილებლად და არსებითად იქნა დასრულებული კონტრაქტორის, ქვეკონტრაქტორის, ერთობლივი საწარმოს წევრის ან მმართველი კონტრაქტორის როლში:

(i) რეაბილიტაციის/რეკონსტრუქციის/მშენებლობის მინიმუმ ერთი კონტრაქტი, არანაკლებ **1,320,000 ლარის** ღირებულებით, რომელიც მოიცავდა ტექნიკური სისტემების მშენებლობას/რეკონსტრუქციას;

ან, რეაბილიტაციის/რეკონსტრუქციის/მშენებლობის მაქსიმუმ ხუთი კონტრაქტი, რომელთაგან სულ მცირე ერთი კონტრაქტის ღირებულებაა **660,000 ლარი,** მაგრამ ჯამურად წარმოდგენილი კონტრაქტების საერთო ღირებულება არანაკლებ **1,320,000 ლარია** და რომელიც მოიცავდა ტექნიკური სისტემების მშენებლობას/რეკონსტრუქციას;

(ii) დეტალური დიზაინის მომზადების სულ მცირე ერთი კონტრაქტი, რომელიც მოიცავდა კონსტრუქციული დიზაინის მომზადებას და ტექნიკური სისტემების პროექტირებას, ან რეაბილიტაციის ერთი კონტრაქტი, რომელიც მოიცავდა აღნიშნულ საპროექტო მომსახურებას არანაკლებ **40,000 ლარის** ღირებულებით.

ან, დეტალური დიზაინის მომზადების ან რეაბილიტაციის მაქსიმუმ ხუთი კონტრაქტი, რომლებიც მოიცავდა კონსტრუქციული დიზაინის მომზადებას და, ტექნიკური სისტემების პროექტირებას და რომელთაგან, სულ მცირე ერთი კონტრაქტის ღირებულებაა არანაკლებ **20,000 ლარის** ღირებულების, მაგრამ ჯამურად წარმოდგენილი კონტრაქტების საერთო ღირებულება არანაკლებ **40,000 ლარია.**

ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში, აღნიშნულ ტექნიკურ მოთხოვნას ერთობლივი საწარმოს ყველა წევრი ერთობლივად უნდა აკმაყოფილებდნენ 100%-ით.

- ტენდერის მონაწილე არ არის გაკოტრებული ან გაკოტრების პირას მყოფი პირი ადგილობრივი კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისად;
- იმ შემთხვევაში, თუ ტენდერის მონაწილე არ აწარმოებს აღნიშნული კონტრაქტის ფარგლებში შეთავაზებულ დანადგარს, ტენდერის მონაწილე უფლებამოსილი უნდა იქნას დანადგარის მწარმოებლის მიერ დამკვეთის ქვეყანაში დანადგარის მიწოდებისთვის;
- ტენდერის მონაწილემ უნდა უზრუნველყოს საგარანტიო ვალდებულებები;

შესყიდვის დასაშვები ღირებულებაა **1,321,300 ლარი (დღგ-ს გათვალისწინებით).**
პროექტის სავარაუდო ხანგრძლივობაა **9 თვე.**

სატენდერო დოკუმენტაციის სრული პაკეტი ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე. დოკუმენტაციის ქართული ვერსია მხოლოდ ტენდერის მონაწილეთათვის დამხმარე დოკუმენტებად არის შექმნილი (შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ინგლისურ ვერსიას).

ტენდერში მონაწილეებმა სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ ელექტრონულად სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამოყენებით.

ტენდერის გამარჯვებულმა მონაწილემ უნდა უზრუნველყოს შესრულების გარანტიის წარმოდგენა, რომელიც გაცემული უნდა იყოს მხოლოდ ადგილობრივი სანდო ბანკების მიერ, რომლებიც ოპერირებენ საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ბანკების სრული სია ხელმისაწვდომია საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე, შემდეგ ბმულზე: https://www.nbg.gov.ge/index.php?m=403&lng=eng

ტენდერის მონაწილეების შერჩევა მოხდება ღია ტენდერის პროცედურების შესაბამისად, რომელიც აღწერილია სატენდერო დოკუმენტში. ტენდერის მონაწილეებმა სასურველია მისდიონ NEFCO-ს შესყიდვების სახელმძღვანელოს, რომლის ნახვაც შეიძლება NEFCO-ს ვებ-გვერდზე: https://www.nefco.org/work-us/our-services/procurement

<u>ადგილზე ვიზიტი:</u>
ტენდერის ხარისხიანად მომზადებისთვის ტენდერის პოტენციური მონაწილეების წარმომადგენლებმა სასურველია მოინახულონ ობიექტი ადგილზე.

ობიექტების მისამართებია:

- ქ. ახალციხის #1 საბავშვო ბაგა-ბაღი: ვარძიის ჩიხი #4;
- ქ. ახალციხის #3 საბავშვო ბაგა-ბაღი: მიქუტიშვილის ქ #10;
- ქ. ახალციხის #5 საბავშვო ბაგა-ბაღი: ასპინძის ქ #47;
- ქ. ახალციხის #6 საბავშვო ბაგა-ბაღი: ივერიელის ქ #52;
- ქ. ახალციხის მე-7 საჯარო სკოლა: შოთა რუსთაველის ქ.#105/ა.

ტენდერის მონაწილემ, რომელსაც სურს ობიექტზე გასვლა, წინასწარ უნდა შეუთანხმოს ეს ვიზიტი დამკვეთს.

ადგილზე ვიზიტის ხარჯებს დაფარავს ტენდერის მონაწილე.

<u>წინასატენდერო შეხვედრა:</u>

წინასატენდერო შეხვედრა გაიმართება 2019 წლის **23 ივლისს, 14:00 საათზე,** შემდეგ მისამართზე:

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისი
დავით აღმაშენებლის გამზ. 150, 0112, თბილისი, საქართველო,
სართული III, საკონფერენციო ოთახი

დასწრება სასურველია, მაგრამ არა სავალდებულო ტენდერის მონაწილეების ან/და მათი წარმომადგენლების მიერ.

ტენდერში მონაწილეებმა სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ ელექტრონულად არაუგვიანეს იმ თარიღისა და დროსა, რომელიც მითითებულია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში - 9 აგვისტო, 2019 წელი, 14:00 საათი.

გამოცემის თარიღი: 2019 წლის 9 ივლისი